გაზეთის ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-შენუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.

სურათებიანი

ვეფხის-ტყაოსანი

მეორეას უდაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ,

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაწყობში.

წიგნში 27 ზინისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტის და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

ამ წიგნზე ხელის-მომწერთ უნდა წარმოადგინონ კვიტანცია, იმათ'ხედ დარჩენილი ფული და გასაგზავნი ხარჯიც ერთი მანეთი.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества Грамотности. Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, №№ 109 и 110. (5—3)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში:

ისტორიული მოთხრობა

ქართველთა ცხოვრებიდამ

„მარინე“,

გადმოკეთებული

ვალიკო გუნიას მიერ.

ფასი ექვსი შაური.


ტფილისი, 10 ივნისი

ერთი სენი კიდევ, რომელიც შესამჩნევად იყო და არის გავრცელებული ევროპის სატახტო ქალაქებში, გაჩნდა ჩვენშიაც: ჯერ ცხენის-წყლის მარჯვენა კიდის სოფლებში, ბუმბუას ხიდს ქვევით, და შემდეგ ტფილისშიაც ამოყო თავი. ეს სენი გახლავსთ «ჯიბგირობა».

ამ ოც-და-ათის წლის წინად არ იყო ქალაქში ჯიბგირის ხსენება და მას აქეთ-კი, სამწუხაროდ ჩვენდა, დაიწყო და ფეხი მოიკიდა ჯიბგირობის სენმა. ამ სამარცხვინო ხელობაში არიან დახელოვნებულნი უფრო პატარა ბიჭები, მცირე-წლოვანები, რადგან, იმათის უფროსების აზრით, მცირე-წლოვანს კანონი ისე მკაცრად არა სჯის და ციხეში ჩაჯდომით გადურჩება დამნაშავე. ძალიან სუსტი და უაზრო სიფრთხილეა ამ სენის მიმდევრებისაგან; იმას-კი აღარა ჰფიქრობენ ჯიბგირების მშობლები და მახლობელნი, რომ მცირე-წლოვანნი ციხეში უფრო ირყვნებიან მძიმე დამნაშავეებში ყოფნით, იმათის ცუდის მოძღვრებით და იქიდგან გამოდიან უფრო ზნეობა გახრწნილნი, იმის ნაცვლად, რომ კეთილი რამ შეექმნათ და სასჯელს შიში და კრძალვა დაენერგა მათს გულში. არც ის ახსოვთ იმ უგუნურებს, რომ ორიოდე ამ გვარი შეცოდება, განმეორებული, იმავ ჯიბგირებს ციმბირშიაც გაისტუმრებს.

ჯიბგირები ისე დახელოვნებულან თვალ-და-თვალ და ხელ-და-ხელ ქურდობაში, რომ იმათთვის სხვის ჯიბიდგან ხელსახოცის, ან ქისის ამოცლა, ან საათის ძეწკვის შეჭრა ისე ადვილია, როგორც ბუზის მოგერება... გზაზედ, ქუჩაში მიმავალს კაცს ამოაცლიან ჯიბე-უბიდგან, შეუმჩნევლად, უოველისფერს და იშვიათად ჩაუვარდებიან ვისმე ხელში გასამჟღავნებლად, დასაჭერად.

ჯიბგირი, ნივთს იგდებს თუ არა ხელში, იმავ წუთს გადასცემს მეძლიქემად აყოლებულს ამხანაგს, ეს უკანასკნელი გადასცემს მესამეს და ამ ნაირად ნივთი სამუდამოდ იკარგება. თუ მოასწრეს პირველს დამნაშავეს, რასაკვირველია, ვეღარას უპოვნიან და—ვიმეორებთ – იშვიათად ჩაუვარდება ჯიბგირი ნივთის დამკარგავს და მოსამართლეს. ჯიბგირები დიდრონებიც არიან და „წმინდა“ საზოგადოების წევრებშიაც მოიძებნებიან. ჯიბგირების ასპარეზი არის იქ, სადაც ჯგუფად გროვდება ხალხი: ჭიდაობა, დღეობა, საერო სეირნობა, ჩირაღდნობა, თეატრი, ცხენის რკინის გზა და სხვა ამ გვარი ადვილები და ყრილობა.

„წმინდა“ ჯიბგირები-კი, უფრო წმინდად და ზოგნი მდიდრულადაც ჩაცმულნი, ეტანებიან უფრო თეატრებს, კონცერტებს და სხვა ამ გვარს გასართობ ადგილებს, უფრო განათლებულნიც არიან, თუმცა არც ესენი იუკადრისებენ ხანდისხან მცირე ნივთის შეგლეჯასა.

ადრევ, როდესაც ჯიბგირობა არ იყო, მაშინ არც კინტოები იყვნენ. კინტოების მაგიერ იყვნენ „ძმაბიჭები“, რომელთაც ეძახოდნენ «პაქარნებს». „პაქარნები“ არა ჯიბგირობდნენ, არა გადრუტლობდნენ ქურდობას; ესენი დაატარებდნენ, ქუჩა-ქუჩა, გასასყიდს ხილს, კვერცხებს, მწვანილს და სხვას ამ გვარებსა.

„პაქარნები“ უფრო ხალისობდნენ და მისდევდნენ ჩანგლით და ბადით თევზის ჭერას, უმეტესს წილს დროს ატარებდნენ მტკვრის პირას, სადაც წყალ-დიდობას შემას და ტივის ხეებს იჭერდნენ. გაჩნდებოდა სადმე ცეცხლი თუ არა, „პაქარნები“ იქ იყვნენ და ჰშველოდნენ თავ-გაწირვით ცეცხლ-მოკიდებულს სახლის პატრონებს. დანარჩენი იმათი „თავის-უფალი“ დრო მიმდინარეობდა დუდუკით დროს გატარებაში, სამიკიტნოსა და ბაღებში. ეს უდარდელი ლოთი ბიჭები იყვნენ დარდიმანდები და ხშირად გამოსადეგნიცა. შემდეგ „პაქარნები“ გადაიქცნენ დიდრონები—კინტოებად (ქუჩა-ქუჩა ხორაგეულობის გამყიდველად) და პატარები—ჯიბგირებად...

ჯიბგირობის სენის შემამცირებელი, შემასუსტებელი წამალი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს მარჯვე პოლიცია. მართალია, ეს უკანასკნელი ფხიზლად არის, სდევნის ჯიბგირობას, მაგრამ მოგეხსენებათ, კაცს ყველგან ვერ მიუწვდება თვალი. მეორე წამალი, ჯიბგირობის შემასუსტებელი, უნდა იყოს თვითონ ჯიბგირების მშობლების მეთვალ-ყურეობა თავისს შვილებზე და საქმის აჩენა ამ უსაქმო მოზარდ თაობისათვის. მესამე წამალი არის საზოგადოებისაგან დევნა ჯიბგირებისა. ბევრი შემთხვევა ყოფილა, რომ დაზარალებულებს ხელი შეუღიათ და არა დაუდევნიათ-რა არც დანაკარგისათვის და არც დამნაშავისათვის იმ აზრით, რომ: „დევნად არა ღირს; სასამართლოში სიარულს მოვუნდები და დროს დავკარგავო“. ამ გვარად წახალისებული ჯიბგირი უფრო თამამდება, უფრო კადნიერდება, უფრო გახშირებს თავისს სამარცხვინო ვარჯიშობას და უფრო მავნებელი ხდება საზოგადოებისა.

ამ სენის შემასუსტებელ წამლად მიგვაჩნია კიდევ სახელოსნო სასწავლებლები, და თუ ჯიბგირი ციხეში ჩაჯდომის ღირსი შეიქმნა, მაშინ უნდა განშორებული იყოს იმათგან, რომელნიც მათზე მეტად ხნოვანნი არიან და შემჩნეულნი, ან დასჯილნი მძიმე დანაშაულობისათვის.

ვისურვებთ, რომ ჯიბგირობას არამც თუ ემატნოს, არამედ უფრო და უფრო შემცირებულიყოს, რადგან ამ სენის სრულიად ამოფხვრა დროს უნდა მივაჩემოთ, იმ ნუგეშინის იმედით, რომ განათლება ოდესმე ამასაც ბოლოს მოუღებს.

ე.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, პარასკევს, 12 საათზე, ლიუტერანთა ეკკლესიაში, მიხეილის ქუჩაზე, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გერმანიის იმპერატორის ფრიდრიხის მოსახსენებლად. პანაშვიდზე დაესწრო ტფილისის მთავრობა და დიდძალი დიდ-კაცობა.

*** თიბათვის 2-ს, ამაღლება დღეს, ტფილისის სომეხთ სასაფლაოზე ხოჯივანქში რაფფის საფლავზე გადიხადეს პანაშვიდი, რადგანაც ორმოცი იყო. დიდ-ძალი ხალხი შეიყარა, უფრო მოშეტებული, ვიდრე განსვენებულ მწერლის დასაფლავებისას. საფლავი მორთული იყო მწვანითა და ყვავილებითა და აგრეთვე ორის ახლად გამოგზავნილის გვირგვინითა (ერთი ინგლისის ქ. მანჩესტერის სომხებისაგან და მეორე დერბენდიდამ).

*** მაისის 31 იყო უკანასკნელი ეგზამენები საქალებო გიმნაზიაში. ამ წელს გაათავა მეშვიდე კლასის კურ-

## ფელეტონი

### ხევსურული სიმღერები

შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ

დაჯე, დაგვეხსენ, ვაჟუს ძევ,
თუშეთს იკმარე რიალი,
ხევსურეთ ნულარ გარმახოლ,
გზანი გქონ სახრიხიანი[1]);
არ დაიჯერებ, გარმახოლ,
არ იყავ დაველათიანი:
შამაგეყრება თორღვაი
დილაზედ თეირთვილიანი,
მარცხნივ მხარ გამოგიარა,
მარჯვენივ მხარ გიყო ზიანი,
გულს დაგცა ქომა ხანჯარი,
მიწა გაჰშია მტვრიანი,
ლგნალონის ჩრდილში გაგწირა,
საბად გაგხურა ცვრიანი,
თავითი ყორან მაგიხსნა,
გალო მახარით წვნიანი,
თაოდ არჭილოს[2]) გავარდა
თორღვაი მარჯვებიანი...

არჭილოს ქალნი ულოცვენ:
— სად იყავ მკლავ-სისხლიანი?..
— ვაჟუს ძემ ხმალი წამართო,
შინ მოოლ სირცხვილიანი!..
— ვაჟუს ძის გარდამღებელო[3]),
თორღავ, რა გქონდა ფარადა?
— სამკლავენ მიფარებიან,
დაშნა მქონიყო ხმალადა!..
თორღვას უბარებს ბატონი:
— თორღავ, ჩამოედ ბარადა,
ცხენსა ჩემს მაგცემ, თორღვაო,
შინ მიგიყვანოს ჩქარადა,
ქალსაც ჩემს მაგცემ, თორღვაო,
ერთიც ვერ სჯობდეს თვალადა...
ამაგ სიმღერის მათქვამი
არჭილოს ქალ ვარ თმიანი,
ცოლადა წამაგივიდოდ,
მაგრა ვარ კვეთილიანი[4]),
სალექსოდ გამამილალე
საყური ზინზილიანი,
ქებასა არ მაგიშლიდი,
თუ კიდევ სად ჰქენ ზიანი...

(ბათაკა თოთიასშვილი არაბული)

[1]) ცუდი სავალი გზა.
[2]) ადგილია ს. მუცოს ახლო.
[3]) მომრევო.
[4]) ის ქალია, რომელიც ქმარს დაიწუნებს და თავს დაანებებს, ან დანიშნულს საქმროს აღარ ინდომებს. ამისთანა ქალს გათხოვება არ შეუძლიან. თუ გათხოვდა, მოჰკლავს შეურაცხყოფილი კაცი.

## ანტონია ბეზარეცი

მექსიკელთა ცხოვრებიდამ.

უკანასკნელად შეიძრა მიწა და შესდგა. მიწის-ძვრა ადვილად შესამჩნევი არ იყო. რაღაც შემთხვევით ეს მიწის-ძვრა სწორედ მაშინ მოხდა, როცა მე ერთის ფრანცისკანელ ბერის ხელ-ნაწერს მოთხრობასა ვკითხულობდი. ამ მოთხრობაში ნაამბობი იყო საშინელი ამბავი, რომელიც ხორულლოში მომხდარიყო. 1759 წლის 29 სექტემბრის ღამეს ვალიადოლიდაში მოესწრნენ საკვირველსა და საოცარს მოვლენას. ჯერ ჩვენამდე არც ერთს ამბავს არ მოუღწევია, რომ ვაკე მიწაზედ, მთების მოშორებით და განსაკუთრებით ცეცხლის მფრქვეველ მთებისა, უეცრად, თითქოს თვალთმაქცობით იყოსო, ოთხი გორა გაჩენილიყოს და ამ ოთხში ერთს ცეცხლი დაეფრქვიოს. რასაკვირველია, ამისთანა მოვლენა იშვიათად მოხდება ხოლმე; მაშინ სულ რამდენსამე წამში მშვენიერი, ნაყოფიერი მხარე უნაყოფო უდაბნოდ, უშენ ადგილად გარდაიქცა. ორი მდინარე ნანაჯოგად დაიკარგა. ფრანცისკანელი ამბობს, რომ „დედამიწა ზღვასავითა ჰღელავდაო“. მტაცებელნი ფრინველნიც-კი მაშინ ფრინვას ვერა ჰბედავდნენ თურმე იმ უდაბურს ადგილს, რომელსაც ეხლა „უბედურებათა ქვეყანა“ ეწოდება.

ფრანცისკანელის, რომლის ხელ-ნაწერსაც მე ვკითხულობდი, პირველში ასე ჰგონებოდა, რომ ქვეყანას აღსასრულის დღე დაუდგაო. ჩემის აზრით, ჩვენც ამასვე ვიფიქრებთ, უეცრად ჩვენს ფეხ-ქვეშ დედამიწამ გრგვინვა და ქუხილი რომ დაიწყოს, შეიძრეს, შეირყეს, ჩაიქცეს და ამოიბურთოს, მთებმა ცეცხლისა და კლდის ნაპრალების ფრქვევა დაიწყოს. მართალი რომ სთქვას კაცმა, რამდენსაც მეტსა ვკითხულობდი იმ ხელ-ნაწერს, უფრო და უფრო ვნანობდი, რომ პატივცემულს ბერს, რომელსაც ბუნებას ისეთი საკვირველი მოვლენა ენახა, მეცნიერულად არ გამოეკვლია ასეთი მოვლენა და მხოლოდ იმ შიშსა და თავ-ზარ დაცემას ელგვიწერდა, რომელიც მნახველებს ეგრძნოთ. ამ ფიქრებში ვიყავი წასული, როცა ორიზავის ხეობაზედ მიწა იძრა. მაშინვე იმედი მომეცა, რომ ეხლა იმისთანა ბუნების მოვლენას, როგორიც ხორულლოში იყო, მე თითონ დავესწრები-მეთქი. ჰაი თუ ესიამოვნებოდა მეცნიერებათა აკადემიას, როცა თვალით მნახველისაგან მიიღებდა დაწვრილებითს სამეცნიერო გამოკვლევას ბუნების ამ საოცარ და საშინელ მოვლენისას! ის იყო მოვემზადე კიდეც, რომ აღმენიშნა, თუ რამდენად ძლიერი მიწის-ძვრა მოხდებოდა, ან რომელს მხრისაკენ იძვრებოდა მიწა, რა მდგომარეობაში იქმნებოდნენ ამ დროს ფრინველნი, ოთხ-ფეხნი... მოვემზადე, მაგრამ ვერაფერი, ვერაფერი ვერ აღვნიშნე. ჩემი ოთახი ოდნავ შეიძრა, ბოძებმა ცოტათი ჭრაჭუნი დაიწყეს, ზარმა ჩამოირაწკუნა, და დედამიწა, თითქო ამ უბრალო შერხევითაც-კი მოილალა და მოიქანცაო, მიყუჩდა, ჩვეულებრივი უძრავი სახე მიიღო. ეს ამბავი მოხდა 15 იანვარს 1864 წლისას, დილის ათს საათსა და ორმოცდა-ათს წუთს, როცა ცა მოცრიაგებული

სი 52 მოწაფე ქალმა. ამათ რიცხვში სამი არის ქართველი—ბილანიშვილისა, სარაჯიშვილისა და ბუთხუზიშვილისა. ამათ განზრახვა აქვსთ სპეციალურად შეისწავლონ რომელიმე საგანი და ამიტომ თითო წელიწადი კიდევ უნდა დარჩნენ მერვე კლასში, რის შემდეგ, ატესტატს გარდა, დიპლომსაც მიიღებენ.

*** ჩვენ გვიამბეს, რომ ბაქოში, ამ თთვის 3-ს, ღამე, ცეცხლი წაუკიდებია თავის დუქნისათვის ერთს ბოროტ-გამძრახველს ვაჭარს, იმ აზრით, რომ სათესე მიელო მისგან დაზღვეულს საქონელში. ცეცხლი გავრცელებულა და იარმუკის დუქან-ბაზარი გადაუწვამს კარგა დიდი ნაწილი. ზარალს ამბობენ ოთხი ათასს თუმნამდე.

დამნაშავე დაუჭერიათ. ეტყობა, ამ ვაჟბატონის ყურამდე ხოსროევის სასჯელის ხმას ჯერ არ მიუღწევია.

*** ამაღლება დღეს თავადს აბ—ძეს სტუმრები ჰყოლია მიწვეული სადილად, ორმოც კაცამდე. სადილს უკან ჯირითი გამართულა და ამ დროს ორი ყმაწვილი კაცი შელაპარაკებულა. ამ დროს აქ მყოფს (არა სასურველს საზოგადოებისას და მარად მოჩხუბარს) კ. ვ—ძეს შეურაცხყოფა მიუყენებია სიტყვიერად ე. ან—თვის და ამ უკანასკნელს სამიოდ მათრახი გადაუკრავს კ. ვ—თვის. ამასაც უმიშველია ხანჯალი. ამის დანახვაზედ მისცვივნიან სხვები გასაშველებლად და არევ-დარეულს ძიძგილში დაჭრილა ოთხი: ლ. და ლ. ან—ლები—ხელებში, ლ. კ—ძე—პირ-სახეში და ს. ვ—ძე, მძიმედ,—ფეხში.

აი კიდევ ნიმუში იმ „სენისა“, რომელზედაც ჩვენ წარმოვსთქვით აზრი „ივერიის“ მე-118 ნომერში.

*** ამ დღეებში გაუქურდავთ წინანაურის სომხის ეკკლესია. ქურდს წაუღია ფულის ყუთი და ოქროს ჯვრები. გამოძიება სწარმოებს. მთავრობას დამნაშავე უკვე შეუპყრია.

*** უკვე დაიბეჭდა პირველი კარი ყარამნიანისა, ნიკოლოზ კობალაძის მიერ გამოცემული, და დღეს გამოვა გასასყიდად. ფასი ექვსი შაური.

*** თელავი: 2-ს ივნისს თელავის კლუბის დარბაზში დანიშნული იყო საღამო. საღამო ჩვეულებრივად ჩაივლიდა, თუ რომ მცირედი (?) უსიამოვნება არ მომხდარიყო. ზოგიერთმა თელაველებმა სადილი გაჰმართეს. ამ სადილზე კარგად შეზარხოშებული სტუმარ-მასპინძლები მობრძანდნენ კლუბში. კახურის ზედ-მოქმედება ნამეტნავად ეტყობოდა ერთს კაცს, რომელსაც არც უწესოების ჩადენა ჰმართებს და არც გარდამეტებული სმა. აი, ეს კაცი წაელაპარაკა ერთს ვისმე და ბოლოს ლაპარაკი ცემად აქცია. კიდევ კარგი, რომ ხალხმა მალე ჩაფუშა ეს უსიამოვნება, თორემ რამე უბედურება დატრიალდებოდა. ეს აუცილებელი იყო, რადგანაც გაჯიქებულმა მოჩხუბარმა ერთს დამსწრეთაგანს ამოსტაცა ხანჯალი.

*** ბარის ოსეთი: ბარის ოსეთში, ხშირის წვიმების შემდეგ, 25-ს მაისს, ნაშუადღევის ორს საათზე, დაიწყო ჭექა-ქუხილი. ამას თან მოჰყვა საშინელი მსხვილი სეტყვა, რომელმაც გაანადგურა შემდეგი სოფლები: ჩირისტანყაუ, ფისილმონყაუ, არიდონი, ქურთათი, ყაზახის სტანიცა, არხონკა და ბესლანიყაუ. ამ სეტყვამ სოფ. ფისილმონყაუში ერთი კაცი კინაღამ იმსხვერპლა. ორი ოსი მიდიოდნენ ურმებით მინდვრიდგან შინისაკენ. სეტყვამ გზაზე მოასწრო. ოსებმა ველარ გაუძლეს სეტყვას, რადგან, თუ მნახველებს დავუჯერეთ, სეტყვა ინდოურის კვერცხის ოდენა ყოფილა, დააყენეს ხარები და თვითონ ურმებ ქვეშ შეეფარნენ. ხარებმაც ველარ შესძლეს დგომა, გაიქცნენ და ერთს მოდიდებულს მდინარეში შესცვივდნენ. პატრონებიც უკან გამოუდგნენ. ამ დროს ერთს ოსს თავში მოხვდა ერთი სეტყვა და მარცხენა წარბი და ლოყა ჩამოატყავა. საბრალო იქვე ძირს დავარდა და სეტყვამ ისე დაბეჟა, რომ სოფლიდგან გამოგზავნილმა მეევარმა სახლში ურმით წაიღო.

ამავე დროს ერთს მეცხვარეს სეტყვამ სამოცი ცხვარი უსულოდ დაუხოცა, ოც-და-ხუთს-კი დაკვლა მოასწრეს. ამავე დროს სოფ. ქურთათში ერთს კაცს ქარმა ქუდი მოსტაცა და ტიტველა თავი სეტყვამ გაუტეხა. კაცმა თავზე ხელი მოისვა და სეტყვამ ორი თითი დაუშავა. შინაური ფრინველები, რომელთაც-კი სეტყვამ გარეთ მოასწრო, სულ ერთიანად ამოსწყვიტა.

*** შორაპნის მაზრა: წელს სოფელს ფუთში, ამაღლებას, ერთი საბრალო გლეხი, გვარად დუგლაძე, სასიკვდილოდ დასჭრა ვინმე მაჭავარიანმა. თურმე მაჭავარიანს განუზრახავს სხვისი დაჭრა და ამაზედ გლეხს თავი გამოუდვია და ერთი კარგადაც უთავაზებია ხანჯალი თავში მაჭავარიანისათვის. ჭრილობისაგან გაბრაზებულს მაჭავარიანს ამოუღია ხანჯალი და ერთი შვიდად გადაუხდია გლეხისათვის. ექიმების აზრით, დაჭრილის გლეხის მორჩენა საეჭვოა.

სოფელს საქარაშიაც, იმავე დღესასწაულს, არა ნაკლები სისხლის ღვრა იყო. აქაც დაიჭრა მძიმედ რამდენიმე ახალგაზრდა, მხოლოდ სიკვდილით-კი ჯერ-ჯერობით არავინ მომკვდარა. საუბედუროდ, შემჩნეულია, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის, იმდენად მეტი და მეტი სისხლი ილვრება დღესასწაულებზე.

*** კავკავი, 27-ს მაისს, შუადღის შემდეგ, ცა სრულიად ჩამობნელდა. ზოგ-ზოგმა სახლებში კინაღამ ლამპრები აანთო, ისე ბნელოდა. პატარა ხანს უკან საშინლად ჭექა-ქუხილი დაიწყო და კიდეც დაუშინა სეტყვამ. სეტყვა კაკლის სისხო იყო და ზოგი მეტიც. კავკავში ძალიან დასეტყვა ხეხილის ბაღები და ძალიან ბევრი შუშებიც დაამტვრია სახლებისა. სოფ. ოლგინსკაშიაც გადაჰკრა სეტყვამ. სეტყვა სხვა სოფლებშიაც ბევრგან იყო მინდვრის ოსებში.

*** დ. ყვირილა: დ. ყვირილის ნორმალურ ორ-კლასიანის სკოლის ერთს მასწავლებელთაგანს, ბ-ნს თ. ხ—ეს, განზრახვა აქვს გამართოს ენკენისთვიდგან ყვირილაშივე კერძო მოსამზადებელი დედათა სასწავლებელი.

*** „მშაკის“ რედაქციას მოსვლია ფული რაფფის საფლავზე ძეგლის ასაგებად: ართვინიდამ ექიმის მირიმანიანისაგან 5 მან. და წერილი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ „იმედი უნდა გვქონდეს, ჩვენი ექიმები მწერლის ძეგლის აგებაში მონაწილეობას მიიღებენო“. აგრეთვე მიღებულია ყარაბაღიდამ (ხანქენდიდამ) ექიმის არტემიანცისაგან შეკრებილი 55 მან. და 40 კაპ. ამ სახით ნელ-ნელა გზავნიან შემოწირულობას სხვა სომხურ გაზეთებშიაც და, იმედია, მალე იმდენი შეიკრიბოს, რომ ღირსეული ძეგლი აეგოს ღირსეულს მწერალსა.

*** სომხური ჟურნალ-გაზეთები იწერებიან, რომ სომეხთ პატრიარქ-კათალიკოზის ბრძანებით შესდგომიან ეჩმიაძინის ტაძრის შეკეთებასა და განახლებას. მუშაობა სწარმოებს ორის ეპისკოპოზის, ნერსესისა და სარგისის, ზედამხედველობით და ტფილისელ ხუროთ-მოძღვრის (არქიტექტორის) მიქელ სალამბეგიანის თაყ-დგომით. ამ ჟამად ტაძრის გალავანში სხვა-და-სხვა მუშაობაა, ზოგი გაუთავებიათ და ზოგიც სწარმოებს. შენდება სხვათა შორის სტამბისათვის ახალი სახლი, რომლისაც საძირკველი ჩაუყრიათ და ადლზე მაღლა კედლებიც ამოუტანიათ. ტაძრისავე გალავანში მიწა ერთს ადლზე მაღალი ყოფილა ეკკლესიის იატაკზე, როგორც საზოგადოდ ხშირია ჩვენს ძველს გალავნებშიაც. ეს მიწა, ადლ ნახევარის სიღრმე მთელის გალავნისა, აუღიათ და გამოუზიდნიათ, ასე რომ ახლა ეკკლესიის იატაკი მიწაზე მაღლაა.

*** მიხეილის ქუჩაზე, გერმანელების ეკკლესიის გალავანში, უპოვნიათ მიგდებული ბავშვი მამათა სქესისა.

*** პოლიციის მეხუთე ნაწილის ბოქაულის თანაშემწეს სვიმონოვს უპოვნია და შეუპყრია პავლე ივანოვი, რომელმაც 2-ს ივნისს თავის ძმის მესესხებელ კასიდგან მოიტაცა ფულად 600 მანეთი და ოქრო და ვერცხლი 1,500 მანეთისა. პავლე ივანოვს უპოვნეს 470 მანეთი ქაღალდის ფულად, ერთი მომგებიანი ბილეთი და ერთიც ოქროს საათი. ფულები და ნივთები ჩააბარეს პატრონს და დამნაშავე-კი წარუდგინეს გამომძიებელს.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. წინარეხი**, 27 მაისი. მეტად გააჭირა საქმე ამ წვიმამ! დადგა მაისი და თან მოიტანა საშინელი ავდარი. ერთი დღე არ გამორევია უავდროდ. მერე წვიმაც არის და წვიმაც, მაგრამ ეს მეტად გაბმული, დიდი, შხაპუნა წვიმაა, რომელიც შეუბრალებლივ ლეკავს ყველაფერს! გლეხები სტირიან, ჭირნახული სულ დაგვილპაო. ყანები სულ ჩაალპო ავდარმა, სიმინდები და ლობიო ველარ ითოხნება, ტყეში ველარ დადიან გლეხები საშინელის ნიაღვრებისა და ადიდებულ მდინარეების შიშით. ისე ადიდდნენ აქაური მდინარე „კავთურა“ და კავთისხევის მდინარე „გუდალულა“, რომ შესზარავს კაცსა; სრულებით შესცვალეს თავიანთი წინანდელი გზა-კვალი და სხვა გზაზედ მიშხუვიან და მიაგორებენ უზარმაზარს ლოდებს, და გაისმის საშინელი ბუყბუყი ლოდების ერთმანეთის მინარცხებისაგან. ერთის სიტყვით, აქაურსაც და კავთისხეველ გლეხსაც გულზე ხელი დაუკრეფია და შესცქერის ცას, სადაც მას ყოვლად შემძლებელი ღმერთი ეგულება. ზოგჯერ ამბობს: კარგია, ღმერთო, გვაკმარე ამდენი წვიმა და ფიცს მოგცემთ, თავისს დღეში აღარ ვიჩხუბოთ და ერთმანეთს თავ-პირი აღარ ვამტვრიოთ სარწყავ წყლისათვისაო, მაგრამ ამაოა გლეხის თხოვნა. გაჭექებული ავდარია და ოხრდება ჭირნახული! მაგრამ ჭირნახულს ვილა სჩივის, ბატონო: აქ არ მოვა კარგი ჭირნახული, სხვაგან ხომ მოვა; კაცი იოლად წავა რითიც იქნება. ვაი ის არის, რომ სახლებიც ლამის სულ მიანგრ-მოანგრიოს. წინარეხში ერთი სახლი არ იპოვება, რომელშიაც მშრალი ადგილი იყოს. ამას გარდა რაც სახლში ან ფქვილი, ან სხვა რამე სანოვაგეა, სველდება და ფუჭდება ამ ასკილის ყვავილობას! სულ დალუმპულები დგანან გლეხები და კბილ-კბილს აცემინებენ დასველებულები სიცივისგან. უჭირავთ აქაურ გლეხებს სატყეპლები და უტყაპუნებენ, რაც ძალი და ღონე აქვსთ, თავიანთ სადგომების ბანებს, რომ რა არის გაიტკეპნოს და წვიმა აღარ ჩაუვიდეთ, მაგრამ ამაოდ... სახლებშიაც-კი წვიმა თავისას არ იშლის. ერთს გლეხს ტყეპის დროს ბოსლის ბანი ჩაენგრა და კიდევ კარგი, რომ სიკვდილით არავინ დაზარალდა. ოთახიც საცაა ჩაუწვება ამავე გლეხს. აქაურს სკოლას ნულარ იკითხავთ! ისე თანაბრივა სწვიმს ორივე ოთახში, თითქო ჭერი არა ხურავსო, და ამ გამოუსადეგარის ჭერიდგან პანტა-პუნტით

---

იყო და სასიამოვნო ნიავი ჰქროდა.

ამ უბრალო შენიშვნების წერაში ვიყავი და ისევ ფრანცისკანელის მოთხრობის კითხვას უნდა დავბრუნებოდი, რომ შემომესმა ჩემის ძველის მეგობრის, კარლოს ბეზარეცის, ხმა. კარლოსი კითხულობდა,—შინ არის თუ არა ექიმი ბერნაჟიუსიო. იგი შემოვიდა ჩემს სამუშაო ოთახში მხიარულის სახით, ჩემი კარგად მყოფობა და მშვიდობა იკითხა და გამომიცხადა, რომ მშვენიერს გუნებაზედ გახლავართო. დონ კარლოსი შუათანა ტანის კაცი იყო, მხარ-ბეჭა, ცოცხალი, ღონიერი, სასიამოვნო სახე ჰქონდა და კეთილი თვალები; ზნეობრივ იგი მეტად პატიოსანი და საყვარელი ადამიანი გახლდათ. ბეზარეცი სამოცს წელს გადაცილებული იყო, მაგრამ ისეთი მხიარული გული ჰქონდა, რომ სულ ყმაწვილს კაცსა ჰგავდა. დონ კარლოსი უყვარდათ და პატივსა სცემდნენ მთელს ვერა-კრუსში, ისინიც-კი, რომელნიც პოლიტიკაში იმის მტრებად ითვლებოდნენ და ამიტომ ძალიან არა სწყალობდნენ.

ბეზარეცს მამისაგან დიდი შეძლება დარჩა და ამიტომ სამადლო საქმეს არ უფრთხოდა, არ ერიდებოდა. მე კარგად ვიცოდი, რომ მოწყალე და შემბრალებელი გული ჰქონდა, რადგან ხშირად მივმართავდი ხოლმე, თუ რომელსამე ავადმყოფს შევამჩნევდი, რომ ღარიბი იყო და ხელ-მოკლე. ეს პატიოსანი ადამიანი ერთი-ორად მეტს მაძლევდა იმაზედ, რასაცა ვსთხოვდი, და ბოლოს მევე მიხდიდა მადლობას, რომ გზა მაჩვენე და მასწავლე, როგორც უნდა მოვიქცეულიყავიო; ავიწყდებოდა, რომ დავალებული მე ვიყავ და არა ისა. ერთს რომელსამე ქვეყანაში სულ ბეზარეცისთანა კაი კაცები რომ ყოფილიყვნენ, ამ ქვეყნიური სამოთხე იქ იქნებოდა, თუნდა იმ ქვეყანაში, როგორც ორიზავეში, მიწა ყოველს წელიწადს ორჯელა და სამჯერა ძრულიყო ხოლმე.

— თქვენო მოწყალებავ, შეიძლება რამდენსამე წუთს თქვენი ბრწყინვალე სახე არ აგვარიდოთ და ყური მოგვიპყრათ?

— რაღა თქმა უნდა, რომ შეიძლება, დონ კარლოს. განა არ იცით, რომ თქვენ ჩემთვის ყოველთვის ძვირფასი სტუმარი ბრძანდებით?

— არა, რაღასაცა სწერთ, ვიცი, რომ დროს ძვირად აფასებთ და ამიტომ დიდხანს არ მოგაცდენთ.

— მე არაფერსა ვწერ,—ვუპასუხე საჩქაროდ:—აი, ხორულლოში მომხდარ უბედურების ამბავსა ვკითხულობდი. ამ კითხვას მიწის-ძვრაც ზედ დაერთო და ცოტა არ იყოს ამაღელვა.

— მიწის-ძვრა? რომელი მიწის-ძვრა?

— აი, ამ მიწისა. რას გეოცა?

— ამ მიწისა?—უფრო მეტის გაკვირვებით წამოიძახა დონ-კარლოსმა.

— ჰო, ჰო, ამ მიწისა. ჩემის სახლის ჭერის ბოძებს რომ ჭრაჭუნი არ დაეწყო, შენს გაკვირვებაზედ ასე ვიფიქრებდი, რომ სიზმარში ხომ არ მომეჩვენა-მეთქი. განა ისე გართული ხარ, ჩემო მეგობარო, საქმეებში, რომ აღარც არასა ჰხედავ და აღარც არა გესმის-რა?.. რა ვქნა, გაგონილა, რომ კაცმა ფეხ-ქვეშ მიწის-ძვრა ვერ გაიგონოს. ამისთანა ამბავი მხოლოდ შეყვარებულებს თუ დაემართებათ.

დონ კარლოსმა წარბები შეიკრა.

— განა იცით, გითხრეს რამე?—მკითხა დაფიქრებით.

— რა რამე?..

— ეხლა შეყვარებულებზედა სთქვი-რაღაცა.

— ჰო, მე იმას მოგახსენებდი, რომ მხოლოდ ოცნების მოყვარენი, რომელთაც ცაში ცქერა და ვარსკვლავების თვლა უყვარსთ, მხოლოდ ისინი ვერ იგრძნობენ-მეთქი მიწის ძვრას...

— ჰო-და აი, მეც სწორედ მაგისთანა მდგომარეობაში გახლავარ.

— რაო?—ვკითხე და შევფიქრიანდი.

— შეყვარებული ვარ, ჩემო საყვარელო ექიმო, და სწორედ ამის სათქმელადაც მოვედი შენთან.

მე ხმა არ ამოვიღე, რადგან ასე მეგონა, რომ ხუმრობს-მეთქი. მართალია, დონ კარლოსს გული ჯერ ყმაწვილისა ჰქონდა, არც ერთი კბილი არ აკლდა, მაგრამ მაინც სახე ალაგ-ალაგ შესჭმუხნოდა და შავი თმები გასთეთრებოდა. იგი მიმიხვდა აზრსა და მითხრა:

— ჩემი ნათქვამი ისე გაგიკვირდა, რომ მგონი ეხლა იმასა ჰფიქრობ,— ეს კაცი ჭკუიდგან ხომ არ ატაცებულაო.

— არა, მაგას-კი არა ვფიქრობდი, მაგრამ ის-კი მართალია, რომ ძალიან გამიკვირდა. დამეთანხმე, რომ მაგისთანა ამბავს ყველა გაიოცებდა და გაიკვირვებდა.

— ჭეშმარიტებასა ბრძანებ, ექიმო. კარგად მესმის, რომ უნდა გაგკვირვებოდა, რადგან თქვენის მშვენიერის თვალებით მცენარეებისა, მწერებისა და ლითონების მეტს სხვას აღარასა ჰხედავ... მე-კი უნდა მოგახსენო, რომ არსებობს ქვეყნად კიდევ სხვა რამეც, რასაც თქვენ ვერ ამჩნევთ, ვერა ჰხედავთ, ისეთი სხვა რამე, რომელიც ჩვენთვის, უბრალო მომაკვდავთათვის, მაგ საგნებზე უფრო მეტად მისაზიდავია—ქალები.

ცვივა ათას ხუთას ფერის იობის მტლების მგზავსი ჭია-ღუა... ასეთივე საცოდაობა სოფ. კავთისხევშიაც, მხოლოდ სკოლა საღად არის, თუმცა-კი იქაც ორ-სამ ალაგას ჩამოდის წვიმა.

ამ ავდრის მეოხებით უსაქმობაა ხალხში და, რასაკვირველია, უსაქმობას ქურიკანობა დიდი მოსდევს.

სანმან

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მოვაგონო, ვისაც ჯერ არს, შემდეგი: 8 იანვარს გაზიანთან ერთის გაცარცულთაგანის ცხენი დაუჭერია 14 მარტს ყარაიის ბოქაულს ბ-ნს ჯიჯავაძეს სოფ. სალახლოს მცხოვრებლის ხელში და უცნობებია ბ-ნის მაზრის უფროსისათვის. მაზრის უფროსის განკარგულებითა ცხენიც, და იმის პატრონიც ჩაუბარებიათ დროებით იქვე სხვა მცხოვრებისათვის, ხოლო დღემდის-კი ნაპოვნი ცხენი არ უჩვენებიათ გაცარცულთათვის. რადგან შესაძლებელია, რომელისამე საშუალებით ცხენი მოკლან და ნამდვილის მაგიერ სხვა, მიმგზავსებული ტყავი უჩვენონ გაცარცულთ და იმით არიონ კვალი, ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ, ვისზედაც დამოკიდებულია საქმის სიჩქარე, რაც შეიძლება მალე უჩვენონ გაცარცულთ ხსენებული ცხენი.

ერთი გაცარცულთაგანი

## უცხოეთი

ამერიკა. ამერიკელები თუ დაიწყებენ საქმეს, უზარმაზარსა და უშველებელს დაიწყებენ, რომ საქმის სიდიდით, სიგრცით მაინც განაცვიფრონ ქვეყანა, თუ სხვაფრივ არაფრით იქნება დაწყებული საქმე განსაცვიფრებელი. ერთს ამერიკელს აუშენებია უზარმაზარი თეატრი, რომელშიაც უნდა მოთავსდეს 2 და 3 ათასი კაცი მარტო მომქმედი პირი პიესა-ბალეტებისა, წარმოსადგენად ამ ახირებულს ამერიკელს დაუნიშნავს ძველის ქალაქის ბაბილონის ცხოვრება და ნინევიის დარღვევა. სცენაზე გამოვლენ ნამდვილი სპილოები, ვეფხვები, ლომები, გველები და სხვანი

აი კიდევ მეორე უზარმაზარი საქმე, რომელიც დაუწყიათ ამერიკელებს. ეს ახალი საქმე: დიდის უნივერსიტეტის დაარსება ბალტიმორის ქალაქში სამეუფო ქალაქს ვაშინგტონს ახლო. ეს უნივერსიტეტი ისეთი უზარმაზარი იქმნება, რომ მხოლოდ 20 წლის შემდეგ მომზადდებაო. იმის ასაშენებლად შეუწირავს ერთს ლუისვილელ ქალს კენტუკის შტატში 810,000 მანათი, თითქმის მილიონი. იმის დას შეუწირავს 135,000 მან. აი ამ ფულით იყიდეს ამ ოთხის წლის წინად დიდი ადგილი და ახლა შეუდგნენ კიდეც სახლის აშენებასა. აშენება და მოწყობა ამ უნივერსიტეტისა 24 მილიონამდე დაჯდება.

კათოლიკე სამღვდელოებაა პირველი ამ უნივერსიტეტის აშენების საქმეში. ამ სამღვდელოებას განზრახვა აქვს, რომ საჭირო ფული უნივერსიტეტის ასაშენებლად და მოსაწყობად მდიდარ კათოლიკეებში შეაგროვოს. ღარიბებს არა უნდა გამოერთვას-რა, იმიტომ-რომ ღარიბი ვერც შევა ასეთს უნივერსიტეტში სასწავლებლადაო.

პირველად გაიმართება უნივერსიტეტში ფაკულტეტი ღვთის მეტყველებისა, ასე სამერმისოდ, 1889 წლის შემოდგომაზე. შემდეგ ამ ფაკულტეტს მოჰყვება: ფილოსოფიისა, იურიდიული, ბუნებისმეტყველებისა, მათემატიკისა, ისტორიისა, ფილოლოგიისა და, ასე გასინჯეთ, სიტყვა-კაზმულის მწერლობისაც-კი. ეს უნივერსიტეტი არც ერთს დღევანდელს უნივერსიტეტს არ ეგვანება, მაგრამ რაც-კი კარგი რამ დაწესებულება და ჩვეულება აქვს სხვა უნივერსიტეტს შემოღებული, ამ კარგს ეს უნივერსიტეტიც შემოიღებს.

უნივერსიტეტში მიიღებენ ყველა უმაწვილს კაცებს, ვინც-კი მოინდომებს, რა სარწმუნოებისაც უნდა იყოს. პროფესორადაც მიღებულნი იქმნებიან ისეთნიც-კი, რომელთაც სულ სხვა ნაირი შეხედულობა და აზრები აქვსთ კათოლიკეთა და ან კიდევ სხვა სარწმუნოებაზე. პროფესორის მიწვევის დროს უნივერსიტეტი მხოლოდ იმითი იხელმძღვანელებს, თუ რა სახელი აქვს განთქმული მეცნიერებაში მოსაწვევს პროფესორსა. უკვე მიუწვევიათ ესლავე პროფესორი პასტორი, გერმანელების ისტორიოგრაფი, რომელიც ამ ჟამად ტიროლშია, და H. G. Vernat-ი, პროფესორი რომის უნივერსიტეტისა, სადაც ეს სწავლული კაცი კითხულობს ლექციებს ასსირიასა და ეგვიპტეზე.

დღევანდლამდე დამტკიცებულია მხოლოდ გეგმანი საღვთის-მეტყველო ფაკულტეტის შენობათა. უნივერსიტეტის რექტორისათვის, ვიღაც კინისათვის, რომელიც ეპისკოპოსად არის რიჩმონდში, ვირგინიის შტატში, და ამ ფაკულტეტის პროფესორებისათვის 12 ცალკე კაბინეტი იქმნება აშენებული და ამ კაბინეტებს გვერდს ექმნებათ ამდენივე დასასვენებელი ოთახები. სამი ოთახი იქნება უცხო სტუმართათვის, ხოლო 64 ორპირი ოთახები სასტუმრო და დასასვენებელი ოთახები მომზადებული იქნება სტუდენტებისათვის. აქედამ ცხადად სჩანს, რა დიდი და უზარმაზარი შენობა გამოვა ეს უნივერსიტეტი.

გუშინაო, ამბობს ნიუ-იორკელი კორრესპონდენტი გაზ. „Рус. Вѣд.“-ისა, ჩაჰყარეს სამირკველი ამ უნივერსიტეტისა და თან აკურთხეს კიდეცაო. სამირკვლის კურთხევაზე დაესწრო პრეზიდენტი გროვერ კლივლანდი და ყველა წევრნი კაბინეტისანიო.

## წვრილი ამბები

რედაქტორს „Christian Herald“-ისას, ბაქსტერს, გამოუანგარიშნია, რომ ცეზარ ერნესტ ბულანჟე, ბერძნულად რომ დაიწეროს, ცნობილი რიცხვი 666 გამოვა, ე. ი. ანტიქრისტეო.

— ლონდონში ამხანაგობა რუ ჭუიდის თურმე აბრეშუმის წიგნს, რომელიც 25 ნაწილად გამოდის და თითო ნაწილი 5 მანათად იყიდება. 15 ნაწილი უკვე გამოსულა და თითო ნაწილში ორ-ორი ფურცელია. ყოველივე ფურცელი საშუალო საუკუნოების გემოვნებასა და ყაიდაზეა მოქარგული. წიგნი შეიცავს ლოცვანსა და ლიტურგიას. ასოები თეთრის აბრეშუმით არის ამოქსოვილი.

— ჟურნალი „Paper Makers Circular“-ი ამბობს, რომ ერთი ამერიკელი მეფაბრიკე თამბაქოს აკეთებსო. ეს კაცი ერთს გვარს ქაღალდსა ჰხმარობს, რომელსაც ისეთს ფერსა და გარეგანს სახეს აძლევს, რომ თამბაქოს კარგნი მცნობნიც-კი ვერ შეატყობენ ადვილად სიყალბესაო. ამ ქაღალდით მეტად ლამაზს სიგარებს აკეთებს, რომელსაც, შედარებით, გემოც და სუნიც კარგი აქვსო.

— მომავალ 1889 წლის 1 იანვრიდგან ნიუ-იორკის შტატში ახალი კანონი უნდა შემოიღონ, რომლის ძალითაც სიკვდილით დასასჯელ დამნაშავეთ ელექტრონის შემწეობით უნდა აუსრულდეთ სასჯელი. ესევე კანონი ამბობს, რომ დამნაშავე, რაკი განაჩენი წაეკითხება, უნდა წაიყვანონ საპატიმროში და მარტოდ-მარტო დაამწყვდიონ იმ დრომდე, ვიდრე დაისჯება. დასასჯელის ნახვა შეუძლიანთ იმის ნათესავებსა და ვექილს, აგრეთვე ციხის ექიმსა და მღვდელს. სასამართლოს მიერ აღნიშნული უნდა იყოს კვირა, როცა დასასჯელს სასჯელი აღესრულება, ხოლო დღე და საათი-კი საპატიმროს მართველებმა უნდა დანიშნონ. სასჯელის დროს ნება აქვსთ დაესწრნენ მხოლოდ თანამდებობის მქონეთა, მღვდლებს, ექიმებს და კიდევ რამდენსამე მოქალაქეს. სასჯელის შემდეგ დასჯილს პანაშვიდს გარდაუხდიან თვით ეკკლესიაში და მერე-კი დასჯილის გვამს, თუ ისურვებენ, მშობლები და ან ნათესავები ჩაიბარებენ მიწის მისაბარებლად. აქამდე ყველასა ჰქონდა უფლება სიკვდილით დასასჯელი ავაზაკი ენახა, გაზეთის რედაქტორებს იმათთან ლაპარაკის ნებასაც-კი აძლევდნენ და სასჯელი საზოგადოდ, საჯაროდ ხდებოდა ხოლმე. ეს ახალი კანონი ეკუთვნის ნიუ-იორკის შტატის ნაგუბერნატორალს, რომელმაც 1885 წელს მიჰმართა ერის წარმომადგენელთ შემდეგის სიტყვებით: „ესლა ჩვენ ისე ვსჯით ავაზაკებს სიკვდილით, როგორც საშუალ საუკუნოების ბარბაროსებმა იცოდნენ. ნება აქვს ადამიანს იკითხოს, რომ ნუ თუ ესლანდელს მეცნიერებას არ შეუძლიან რაიმე საშუალება გამონახოს ისეთი, რომ სიკვდილით დასასჯელების ბარბაროსულად დასჯა ცოტა მოარბილოს, უფრო კაცური, უფრო ადამიანური შემოიღოს“.

— აქამდის ამერიკაში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქალი და კაცი ისე ჩქარა არსად იწერენ ჯვარსა ერთმანეთზე და ისე ჩქარა არსად განქორწილდებიან ხოლმე, როგორც ჩიკაგოშიო. ესლა-კი ჩიკაგომ პირველობა ამ მხრივ ფილადელფიას უნდა დაუთმოს, სადაც, როგორც იქაური გაზეთები ამბობენ, შემდეგი სასაცილო ამბავი მომხდარა: ფილადელფიაში ახალად მისულა ნიუ-იორკელი უმაწვილი კაცი, რომელიც მიუპატიჟნია ერთს სახლობას თეატრში. ამ სახლობაში სხვათა შორის ყოფილა ერთი თექვსმეტის წლის ლამაზი გოგონაცა. თეატრში ეს უმაწვილი ქალი და ვაჟი ერთს რიგზედ, გვერდი გვერდსა მსხდარან და მოსწონებიათ ერთმანეთი. პირველ მოქმედების დასრულებამდე უმაწვილს ვაჟს ქალისათვის სიყვარული გამოუცხადებია, მეორე მოქმედების გათავებისას ქალს ცოლად გაყოლის თანხმობა გამოუთქვამს, ხოლო მესამე მოქმედება რომ დაწყებულა, ახალგაზდანი, მცირეოდენის ჩურჩულ-ჩურჩულის შემდეგ, შეუმჩნევლად გასულან გარეთ. პარტერში უნახავთ ნაცნობი პასტორი, ფოიეში გაუყვანიათ და იქვე, თეატრის მსახურების თანადასწრებით, შეუღლებულან კანონიერად. როცა წარმოდგენა გათავებულა და ქალის მშობლებს შვილის ძებნა დაუწყიათ, უმაწვილი ქალი და კაცი მაშინვე მისულან და გამოუცხადებიათ, რომ უკვე ცოლ-ქმარი გახლავართო. რაღას იზამდნენ გაოცებული მშობლები, მიულოცნიათ ახლად შეერთებულებისათვის და ეტლით გაუქანებიათ სახლში.

## დეპეშა

8 ივნისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს აზრი მასზედ, რომ ებრაელებს, რომლებიც შუა-გულ გუბერნიებიდგან გადაესახლებიან თურქესტანის მხარეში, ნება არ ექნებათ არაყის გამოხდისა და სასმელებით ვაჭრობისა. თურქესტანელ ებრაელებს-კი იგივ უფლება უნდა ჰქონდესთ, რომელიც სხვა მკვიდრთათვის მიუნიჭებიათ.

გაზეთი „Гражданинъ“-ი გვაცნობებს, რომ ქალებს ნება მიეციათ მიებარონ აფთიაქებში, თუ გიმნაზიის ოთხის კლასის მოწმობას წარადგენენ და ლათინური ენაც ეცოდინებათ. როდესაც აფთიაქში სწავლას დაასრულებენ, მეაფთიაქეს თანაშემწეს და პროვიზორის ხარისხის მისაღებად ისინი უნდა გამოსცადონ სამედიცინო ფაკულტეტებში, ან სამედიცინო აკადემიაში.

9 ივნისი

პეტერბურგი. „Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია: რადგანაც რუსეთის

---

— ვიცი, ვიცი, რადგან არა ერთხელ მინახავს ჩემს სიცოცხლეში, თუ მაგ სხვა რამეს რამდენის კარგისა და რამდენის ცუდის, საძაგელის რამის გაკეთება შეუძლიან. ხოლო ჩემს თავს რომ ვუყურებ, ასე მგონია, რომ თქვენს ხანში ამ მშვენიერს პეპელებს, იმდენადვე თვით-ნებათ, თავ-ქარიანებს და ცხრა-ჭკუათ, რამდენადაც ნამდვილი პეპლები არიან, მხოლოდ მაშინ მოიწონებს ადამიანი, თუ ის თვისებანი აქვსთ, რომელსაც ფრთების დაცვენის შემდეგ შეიძენენ ხოლმე. დამერწმუნე, მართლაც არც ისეთი ბრმა ვარ, როგორიც ზოგიერთებსა ვგონივარ, და ძალიანაც ვსცემ პატივს ქალებს ერთგულებისათვის, სინარნარისა და სინაზისათვის და...

— რა მშვენივრადა ჰკიცხავ კიდეც და აქებ კიდეცა, ერთსა და იმავე დროს! — შესძახა ჩემმა მეგობარმა: — რა ექნა, შენც ხომ შეყვარებული არა ხარ?

— აპა, არა... მე მაგეებისათვის არა მცალიან.

— მე-კი მცალიან... ჩამომართვა სიტყვა დონ კარლოსმა: — მცალიან და ამიტომაც ვსარგებლობ ამ მოცალეობით. ამ ამბავმა მეტად გაგაკვირვა, მაგრამ იქნება მაშინ აღარ გაგიოცდეს, როცა დაწვრილებით მოგიყვები და სახელს გეტყვი იმ ვარდისას, რომელმაც ახალგაზდობა მომაგონა.

— მართლა, დამავიწყდა. სწორედ ეგ უნდა მეკითხნა და მე-კი ქადაგებას მოგიყევი. ვიცი, რომ გონიერი კაცი ხარ და ამიტომ ეხლავე მომწონს შენი ამორჩეული ქალი.

— მაშ აბა, ექიმო, გამოიცანი: ვინ იქნება.

— ჰმ... მე ერთს ქალბატონზე მაქვს გუმანი მიტანილი. შენ იმას ყოველთვის პატივსა სცემდი, ალერსიანად ეპყრობოდი ხოლმე, და მშვენიერი ქალიც არის...

— სახელი, ექიმო, სახელი გამაგებინეთ.

— დონა ბარბარა მანჭინო.

დონ კარლოსს ისე ეუცხოვა ეს სახელი, რომ მაშინვე ფეხზე წამოვარდა. შემდეგ დინჯადა და დაცინვით შემომხედა.

— გავიწყდება, რომ ეგ ღირსეული და პატივცემული ქალბატონი სამოცის წლისაა, — წამოიძახა ზიზღით კარლოსმა, თითქოს თითონ-კი ახლად ბალან-აშლილი ყმაწვილი კაცი იყოსო.

— სამოცისა-კი არა, ორმოც-და-ექვსისა, ჩემო მეგობარო... დიალ, ორმოც-და-ექვსისა და ეს ხანიც ისე არ ეტყობა, რომ პატივცემულს დონა ბარბარას შეუძლიან ნახევარი თავისის წლოვანებისა არავის შეამჩნევინოს. რაც შეეხება იმის ღირსებათა, უნდა გამოტეხილი გითხრა, რომ მე იმაზედ კარგის ხასიათისას, იმაზე მშვენიერს დიასახლისს, კეთილის გულის ადამიანს არავის ვიცნობ და...

— ყველა ეგ, რასაც შენა ბრძანებ, მეც ვიცი, ექიმო... ვიცი იმიტომ-რომ დონა ბარბარა ჩემს განსვენებულს ცოლს ნათესავად მოჰხვდებოდა. თავი დაანებოთ ამბავს... თქვენი მადლობელი უნდა ვიყო ძალიან, ექიმო, რადგან თქვენ გამაცანით ისა, ვინც მიყვარს და ვისზედაც ჯვარს ვიწერ... იმას ეწოდება ანტონია სოლიარი.

მე პასუხი კვლავ ვერ მოვახერხე და ჩუმად, მუნჯად შევყურებდი ჩემს მეგობარს. დიალ, არა უჭირს-რა, ვინ ამბობს, კარგად შეუნახავს თავი, მშვენიერის აგებულებისაა, სახე ძალიან არა აქვს შეჭმუხვნილი, წელი არ მოჰხრია, რადგან სრული, ხორციანი კაცია, მაგრამ ჭაღარა თმები აქვს და, თუმცა სრულიად მოხუცს არა ჰგავს, მაინც ხანში-შესულობა ატყვია... ანტონია-კი სულ ჩვიდმეტის წლისაა! ჩემმა სიმუნჯემ და სიჩუმემ დონ კარლოსი ცოტა არ იყოს შეაშფოთა.

— ჰმ... არ მოგწონს, მგონი, ჩემი არჩევანი. იმიტომ ხომ არა, ექიმო, რომ სოლიარები ღარიბნი არიან? თუ მაგიტომ, ეგ არაფერია, იმათი გვარი ძველის-ძველია, განთქმული. შენ თითონ გინახავს, როგორის თავ-გამოდებით ებრძოდა იმის დედა სიღარიბესა და გაჭირებას. მშვენიერი დედაკაცია. რაც შეეხება ქალს...

— ნება მომეცი გკითხო, — ჩამოვართვი სიტყვა: — ეგ ქორწინება უკვე გარდაწყვეტილი, გათავებული საქმეა.

— ისე გარდაწყვეტილია, ექიმო, რომ მეჯვარეებს ვეძებ და შენთანაც იმიტომ მოვედი, რომ ეს მოვალეობა გაკისრებინო.

— ანტონიაც... დათანხმდა?

— არა თუ დათანხმდა, ეს არის ეხლა ეხვეწებოდა დედას, ექიმთან მინდა წასვლა, ჩემი ბედნიერება უნდა ვახარო, და შენც თან გამომყევიო. ანტონიას ისე უყვარხარ, ექიმო, რომ მგონი იჭვიანობას დავიწყებ. აბა, რაღა გაქვს სათქმელი?

— სათქმელი ის-ღა მაქვს, რომ მოგილოცო და ვისურვო თქვენთვის ისეთი ბედნიერება, როგორისაც ღირსნი ხართ-მეთქი, — ვუპასუხე გაჭიანურებით, რომ ჩემი შეშფოთება არ შეემჩნევინებინა.

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

მირონ ღების ცხრა ასის წლის დღესასწაული, რომელიც უნდა მოხდეს 15-ს ივლისს, მართლ-მადიდებელთა დღესასწაულია, ამიტომაც კიევში მხოლოდ რუსის დეპუტაციები უნდა მოვიდნენ. მოვლენ წარმომადგენელნი ქალაქებისა, სამღვდელოებისა, სასულიერო და საერო სასწავლებელთა და სამეცნიერო საზოგადოებათა. დღესასწაულზე მოელიან რუმინიის მიტროპოლიტს და ოთხს ეპისკოპოზს. უცხოეთის მართლ-მადიდებელთ შეუძლიანთ დაესწრონ დღესასწაულზე, ვითარცა სტუმრებს, და არა ვითარცა დეპუტატებს და წარმომადგენელთ.

ბერლინი. დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ დაჰყო გუშინ ერთი საათი ბისმარკთან და დღეს დილით წავიდა პეტერბურგს.

პარიჟი. პრეზიდენტმა კარნომ აცნობა მინისტრთა საბჭოს, რომ საპასუხო დეპეშა მოგვივიდა გერმანიის იმპერატორისაგან. იმპერატორი აცხადებს, რომ კარნოსთან ერთად მეც მოსურნე ვარ გერმანიისა და საფრანგეთის მეგობრობისაო.

ბერლინი. „საიმპერიო მაჩვენებელში" დაბეჭდილია მეფის ბრძანება, რომ პრუსიის სეიმი შეიკრიბოს 27-ს ივნისსაო.

სანდო წყაროდგან იუწყებიან, რომ იმპერატორმა ინახულა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და უთხრა, რომ დიდი სურვილი მაქვს გერმანიისა და რუსეთის შორის იგივე მეგობრული განწყობილება გაგრძელდეს, რომელიც ჩემის პაპისა და მამის დროს სუფევდა. იმპერატორმა დაძინა, რომ ოფიციალურად გამოვუცხადებ იმპერატორს ალექსანდრეს ჩემს გრძნობასა და სურვილსაო.

ქაირი. მასსოვიდგან ცნობა მოვიდა, რომ მენელიკმა ამბოხება მოახდინა და აბისინიის ნეგუსის შეილმა თავი მოიწამლაო.

ვენა. სოფიიდგან იუწყებიან: პრინცმა კობურგისამ გამოაცხადა, რომ სურვილი მაქვს დავესწრო იმპერატორის ფრიდრიხის პანაშვიდზე ლიუტერანთა ეკკლესიაშიო. ამაზე გერმანიის ელჩმა უპასუხა, რომ, თუ პრინცი ფეხს შემოსდგამს ეკკლესიაში, იმ წამსვე მთელი საელჩო გარეთ გამოვა ეკკლესიიდგანაო. ამიტომაც პრინცმა პანაშვიდი გადაახდევინა საკათედრო სობოროში.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ივნისი

| | მყიდველ-სა. | გამყიდვე-ლისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 9 05 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 180 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 39 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 274¼ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჸ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თიბათვე 30 დღით არის.

10 დღე პარასკევი. წმ. ტიმოთესი და ანტანინასი. კათოლ. მარგარიტასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-13 დღე თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 14 დღისაა.

11 დღე შაბათი. მიცვალებულთა კურთხევისა და მოხსენების დღე. კათოლ. წინასწარ. მეტყ. იერემიასი. სომ. ნახატონაქი. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38. მთვარე 15 დღისაა.

12 დღე კვირა. წმ. სამება. კათოლ. სულის წმიდის მოსვლის დღე. სომეხ. ჰოქეგალუსტი. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.— ხელ-შეკრულობა დაიდვა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის, რომლის ძალითაც ქართლი და კახეთი ოსმალეთის სამფლობელო შეიქმნა, 1724 წ.—ხელშეკრულებავე დაიდვა რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რომლის ძალითაც რუსეთს დარჩა კასპიის ზღვის ნაპირები, ხოლო ოსმალეთს—საქართველო, ერევნისა, კაზვინისა და თავრიზის პროვინციები, 1724 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 16 დღისაა.

13 დღე ორშაბათი. წმ. ანნასი. კათოლ. ლეუციანასი. სომეხ. ალების ლამე წმ. ილიას მარხვისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 17 დღისაა.

14 დღე სამშაბათი. წინასწარ.-მეტყ. ელისესი. კათოლ. წინასწ. ელისესივე. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 18 დღისაა.

15 დღე ოთხშაბათი. ლირსისა ამოსისა. კათოლ. იესოს გულისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა შევვალისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 19 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი
1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 „ |
| „ 2 „ | 2½ „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 3½ „ |
| „ „ 3 „ | 3 |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი . . . . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| ღორის ხორცი . . . | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლიდამ მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამზოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდი პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოებას სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

# განცხადებანი

სომეხთ სასულიერო

ნერსესიანის

სემინარიის სამზრუნველო საბჭოში 15 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, ხელმეორედ დანიშნულია ვაჭრობა განუმეორებლად, რათა იჯარით იქმნას გაცემული 21 დუქანი, რომელიც აშენებულია სემინარიის მეიდანზე, სომეხთა ვანქის ეკკლესიის ახლოს. პირობის შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდე. (3—3)

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო წიგნი

## ხუთი ამბავი,

ან. თუმანიშვილისა.

ფასი სამი შაური.

ისყიდება ტფილისში: ჩარკვიანის მაღაზიაში და „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში ქუთაისში—ჰილაძეების მაღაზიაში, გორში—ცხვედაძის მაღაზიაში და სხვა ქალაქებში-კი კერძო კაცებთან. იქვე ისყიდება „მოლაღური". (10—8)

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ თიბათვის 2-დამ ამა წლისა დაიწყებს სიარულს კარგად და ფაქიზად მოწყობილი ახალი

## დილიჟანი

გორიდამ მეჯვრისხევში ყოველ დღე. გორიდამ გავა ნაშუადღევის ოთხის ნახევარზედ, მეჯვრისხევიდამ—დილით შვიდ საათზედ. დილიჟანი დადგება გორში, იაკობ ევნატაშვილის დუქანთან; მეჯვრისხევში თიწალა მეჩითოვის დუქანში. ფასი: გორიდამ მეჯვრისხევში და მეჯვრისხევიდამ გორში ორ-ორი აბაზი (40 კ.).

ნიკოლოზ გრიგოლის ძე სოლოღოვი.

(7—6)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . | „ 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . | › 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა. . . . | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ 20 |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . . | „ 50 |

ტფილისში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიის წიგნთ-საწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ

შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);

და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას" (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Іюня 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). რედაქტორის მაგიერი ი. რ. ერისთავი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე